შეთანხმება კონფიდენციალურობაზე

კონფიდენციალური ინფორმაცია - ნებისმიერი ზეპირი კომუნიკაცია, მიღებული, შექმნილი ან/და დამუშავებული ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტი, მათ შორის, ნებისმიერი ფორმით არსებული ინფორმაცია ან/და მონაცემი, რომელიც რაიმე სახით, სრულად ან ნაწილობრივ, ასახავს/წარმოაჩენს სს „პაშა ბანკი საქართველო“-ს საქმიანობას, სტრატეგიებს, გეგმებს, ნოუ-ჰაუს, გამოგონებებს, მიგნებებს, პატენტებს, სქემებს, ნახაზებს, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებს, კლიენტების შესახებ ინფორმაციას, ფინანსურ მდგომარეობას ან/და სხვა კომერციულ საიდუმლოებას, გარდა იმ ინფორმაციისა თუ მონაცემისა, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომია ან საჯაროდ ხელმისაწვდომი ხდება მხარეთა შეთანხმებით ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით.

გამყიდველი/პრეტენდენტი ვალდებულია დაიცვას მყიდველის კომერციული და საქმიანი საიდუმლოების კონფიდენციალურობა, რაც მისთვის შესაძლებელია ცნობილი გახდეს და პასუხს აგებს ამგვარი ინფორმაციის გამჟღავნებისათვის კანონმდებლობისა და წინამდებარე შეთანხმების საფუძველზე. ამასთან, მესამე პირებისთვის კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების/გამხელის ფორმას ან/და მიზანს არა აქვს მნიშვნელობა.

თუ სხვაგვარად არ იქნება შეთანხმებული მესამე პირებისათვის კონფიდენციალური ინფორმაციის ნებისმიერი ფორმით ან/და მიზნით გამჟღავნება/გამხელა დაუშვებელია. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია როგორც წინამდებარე შეთანხმების ვადის განმავლობაში, ისე ნებისმიერი საფუძვლით შეწყვეტიდან უვადოდ.

უფებამოსილი ხელმომწერი პირის
სახელი, გვარი და თანამდებობა: _____

კომპანიის დასახელება და ს/კ: _____

ხელმოწერა: _____

თარიღი (დ/თ/წ): _____